პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 120 (3097) 23 1966 წ. ივნისი. ხუთშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 22-ე წელი

ლონდონი, 22 ივნისი. აქ ჩამოფრინდა ბრაზილიის ფეხბურთელთა ეროვნული გუნდი. მსოფლიო ჩემპიონებს დიდი ამბით დახვდნენ. შაბათს ბრაზილიელები სპარინგ-მატჩს გამართავენ შოტლანდიის ნაკრებთან.

(საქ. ინფ.).

## ცნობები ტოლიდოდან

# ტალანტი და თავყანისმცემლები

ტოლიდო, 22 ივნისი. ამერიკის შეერთებული შტატების პრესა ფართოდ აშუქებს კლასიკურ ჭიდაობაში მსოფლიო ჩემპიონატის მსვლელობას. საყოველთაო ყურადღების ცენტრშია რ. რურუა, რომელიც ოქროს მედლისთვის ბრძოლას აბსოლუტურად საუკეთესო შედეგით — 1 საჯარიმო ქულით განაგრძობს. კორესპონდენტები და სპორტული მიმომხილველები ამ ფაქტს განსაკუთრებით აღნიშნავენ.

ქვემსუბუქი წონის ქართველი ათლეტის გამოსვლა, როგორც წესი, დიდძალ მაყურებელს იზიდავს. ამერიკელი გულშემატკივრები საჭიდაო დარბაზში მხოლოდ მაშინ შემოდიან, როცა ხალიჩაზე რაღაც დიდი ამბავი ხდება, დროის მეტ ნაწილს კი ისინი უნივერსიტეტის დარბაზის ფართო და კომფორტულ ფოიეში ატარებენ. მაგრამ საკმარისია დიქტორმა ფრანგული აქცენტით გამოაცხადოს ჩვენი ფალავნის გვარი („ა“-ზე მახვილით), რომ დარბაზის შესასვლელებს ურიცხვი ხალხი აწყდება.

ასე იყო III წრეშიც, როცა რურუა საჭიდაოდ იხმეს. ინტერესი ამ შეხვედრისადმი საოცრად დიდი იყო: ჯერ ერთი, უნდა ეჭიდავა რურუას, მეორეც, — მისი მეტოქე გახლდათ პოპულარული ამერიკელი ათლეტი ფინლი. ქართველმა მოჭიდავემ ეს ბრძოლაც მოიგო, თუმცა, ამჯერად, ღონიერი ამერიკელი წმინდად წაგებას გადაურჩა. რურუას უპირატესობა აშკარა იყო და მაყურებელმა იგი მქუხარე ტაშით გააცილა.

უმჩატეს წონაში 4 საჯარიმო ქულა აქვს მსოფლიო ჩემპიონს რიბალკოს. ეს არც ისე სახარბიელო მაჩვენებელია, თუ ვივარაუდებთ, რომ მას ფინალამდე სულ ცოტა 2 წრე დარჩა. III წრეში საბჭოთა ათლეტმა ქულებით სძლია იაპონელ კატოს, ხოლო IV — რუმინელ სტოიჩევს.

„საქმე მოითავა“ მჩატე წონის ათლეტმა ტროსტიანსკიმ, რომელიც IV წრის შემდეგ გამოეთიშა ტურნირს. მისთვის საბედისწერო გამოდგა III წრის ბრძოლა თურქ დესერსილთან. საქმე ისაა, რომ საბჭოთა ათლეტს პირველ ხუთ წუთში მსაჯებმა უსაფუძვლო გაფრთხილება მისცეს, ხოლო შესვენების შემდეგ იგი ერთხელ კიდევ გააფრთხილეს და... ავტომატურად ჩაუთვალეს წაგება. და აი, ტროსტიანსკიმ, რომელსაც 2 წრის შემდეგ მხოლოდ 1 საჯარიმო ქულა ჰქონდა, მესამეში დისკვალიფიკაციის გამო ერთბაშად 4 საჯარიმო ქულა „აიკიდა“. IV წრეში მსაჯთა გადაწყვეტილებით ნერვებაშლილმა ტროსტიანსკიმ პასიურად ჩაატარა ბრძოლა იაპონელ რაკურამასთან და ქულებით დამარცხდა.

შესამჩნევად გამოიკეთა მდგომარეობა მსოფლიო ჩემპიონმა საპუნოვმა, რომელსაც პირველი ორი წრის შემდეგ 4 საჯარიმო ქულა ჰქონდა. სტარტზე დაკარგულის ანაზღაურება მას მხოლოდ წმინდა გამარჯვებების მეოხებით შეეძლო. და მსოფლიო ჩემპიონიც, როგორც იტყვიან, „ვა ბანკზე“ წავიდა. რისკმა მას ორივეჯერ წარმატება მოუტანა: საპუნოვმა ეგვიპტელი ფარიდი 8 წუთსა და 27 წამში დასცა, ხოლო ბულგარელი რადევი — 1 წუთსა და 28 წამში.

4 საჯარიმო ქულა აქვს საბჭოთა ნაკრების დებიუტანტს იგუმენოვს (ქვესაშუალო წონა): მან ოთხივე ბრძოლა ქულებით მოიგო. ჩვენმა ათლეტმა დაამარცხა რუმინელი კლუპრული, ნორვეგიელი ბარილი და იუგოსლავიელი ნენადიჩი.

საშუალო წონაში 3 საჯარიმო ქულა აქვს ოლეინიკს, რომელმაც II წრეში დაამარცხა ბულგარელი კრუმოვი, ხოლო III — პოლონელი სლონიმსკი. ქვემძიმე წონის ათლეტმა ანისიმოვმა II წრეში არგენტინელი მონტსიმო სარეკორდოდ მოკლე დროში — 1 წუთსა და 2 წამში წააქცია. III წრეში იგი შეხვდა უნგრელ კიშს (არ აურიოთ თურქ კიშში). დაძაბული ბრძოლა ფრედ დამთავრდა. ანისიმოვს 3 საჯარიმო ქულა აქვს.

დამაჯერებლად გამოდის მძიმე წონის საბჭოთა ათლეტი შმაკოვი, რომელმაც ძირითადი მეტოქეები II და III წრეში ჩამოიცილა: სვენსონს (შვეცია) მან ქულებით მოუგო, ბულგარელ კასაბოვს კი — წმინდად. შმაკოვი 2 ქულით ლიდერობს თავის წონაში.



სურათზე: „რთული კლასის“ დაბრკოლებათა გადალახვაში გამარჯვებული მ. ლაბაშია ასპარეზობისას. ფოტო მ. ზარგარიანისა.

ანგარიში ჭაბუკ მხედართა შეჯიბრებაზე იხ. მე-4 გვ.

## საათები ჩაირთო

ბათუმი, 22 ივნისი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). დღეს აქ შედგა ვაჟთა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის I ტური.

ბუსლაევთან სტრატეგიულ ბრძოლაში გურგენიძემ პოზიციური უპირატესობა მოიპოვა, ხოლო პაიკის მოგების შემდეგ გაიმარჯვა კიდეც. ახალგაზრდა გიორგაძემ შესანიშნავი ტაქტიკური თამაშით დაამარცხა ჩეხოსლოვაკიელი საერთაშორისო ოსტატი უიტელკი.

ჭაბუკთა მსოფლიო ჩემპიონმა კურაიცამ (იუგოსლავია) ფიგურის მოხდენილი შეწირვით მძაფრად დალაშქრა ციენის (გდრ) პოზიცია და გაიმარჯვა.

ცაიტნოტში უბილავამ ვერ ააგო დაცვა და დამარცხდა პოპოვთან (ბულგარეთი).

ყაიმით დასრულდა ჯინჯიხაშვილ — იანსას (ჩეხოსლოვაკია), მინიჩ (იუგოსლავია) — ბაგიროვისა (აზერბაიჯანი) და ფელდი (უნგრეთი) — კოლაროვის (ბულგარეთი) პარტიები.

დაუმთავრებელი დარჩა მხოლოდ დოდა (პოლონეთი) — ვლადიმიროვიჩის (იუგოსლავია) შეხვედრა.

23 ივნისს II ტურია.

## ჭადრაკი

## საათს!

◆ ბერგენი, 22 ივნისი. მსოფლიო რეკორდსმენი, სახელგანთქმული მორბენალი რ. კლარკი (ავსტრალია) ჩვენს კონტინენტზე წლეულს პირველად ევროპის უკიდურეს ჩრდილოეთში გამოვიდა: ნორვეგიელ მეთევზეთა ქალაქ ბერგენის „კრონსმაინდის“ სტადიონზე. ამინდმა უმუხთლა მოასპარეზეთ — წვიმდა, ქროდა ძლიერი ქარი. 3000 მეტრზე რბენაში კლარკი უმთავრესად ინგლისელ მ. უიგსს ებრძოდა. ავსტრალიელმა არც თუ მაღალი შედეგით გაიმარჯვა — 8.01,2. უიგსის დროა 8.04,0. კლარკის შემდეგი სტარტია საფრანგეთში, სადაც იგი 5000 მეტრზე რბენაში შესაძლოა მ. ჟაზის შეეჯიბროს.

◆ ლონდონი, 22 ივნისი. უიმბლდონის ტურნირში დაიწყო წყვილთა შეჯიბრებები. წარმატებით აიღეს სტარტი საბჭოთა ჩოგბურთელებმა ა. მეტრეველმა და ს. ლიხაჩოვმა, რომლებმაც I წრეში დაამარცხეს სამხრეთაფრიკელთა დუეტი — ტ. რანი და რ. სომერსი — 6:4, 6:4, 7:5. ერთეულთა თანრიგში მეტრეველის კვალდაკვალ II წრეში გ. ბაკშეევაც გავიდა, მაგრამ... უბრძოლველად: მას მეტოქე არ გამოუცხადდა. ნორჩმა ო. მოროზოვამ წააგო პ. ვალკდენთან (როდეზია) — 1:6, 3:6, ხოლო ს. ლიხაჩოვმა—ინდოელ დ. მუკერჯისთან — 6:2, 5:7, 5:7, 3:6.

◆ მარსელი, 22 ივნისი. 200 მ თავისუფალი სტილით მსოფლიოში ყველაზე სწრაფად გაცურა ფრანგმა ალენ მოსკონიმ — 1.57,3. მაგრამ ეს მსოფლიო რეკორდად არ ჩაითვლება, ვინაიდან შეჯიბრება 25-მეტრიან აუზში ჩატარდა. მოსკონიმ ეს დრო აჩვენა 4×200 მეტრზე აქ გამართული ესტაფეტის პირველ ეტაპზე. ფრანგის შედეგი 0,3 წამით ჯობს ამერიკელი დ. შოლანდერის მიერ ტოკიოს ოლიმპიადაში დამყარებულ რეკორდს.

◆ პარიზი, 22 ივნისი. „ტურ დე ფრანსის“ I ეტაპი მოიგო რ. ალტიგმა (გფრ). პროფესიულ ველოსიპედისტთა ამ გრანდიოზულმა შეჯიბრებამ გუშინ აიღო სტარტი საფრანგეთის ქალაქ ნანსიში. 208,5 კმ შარლევილამდე გამარჯვებულმა დაფარა 4 საათში, 52 წუთსა და 56 წამში. ალტიგმა 47 წამით აჯობა უახლოეს მეტოქეებს. „ტურ დე ფრანსის“ ხუთგზის ჩემპიონი, ფრანგი ჟ. ანკეტილი და მისი თანამემამულე და მოუცილებელი მეტოქე რ. პულიდორი ერთმანეთის „დაჭერით“ იყვნენ გატაცებული და მხოლოდ მოწინავე ჯგუფთან ერთად მივიდნენ ფინიშთან. ეს ტრადიციული ველორბოლა წლეულს 53-ა. ამჟამად მასში ასპარეზობს სხვადასხვა ქვეყნის 130 პროფესიული ველოსიპედისტი. ტრასის სიგრძე 4.329 კილომეტრია და მოიცავს მთელ საფრანგეთს. ფინიში შედგება 14 ივლისს, პარიზში, ეროვნული ზეიმის — ბასტილიის აღების წლისთავზე.

◆ ულიანოვსკი, 22 ივნისი. დღეს აქ სსრ კავშირის ფეხბურთელთა ოლიმპიურმა ნაკრებმა საერთაშორისო მატჩში დაამარცხა ავსტრიის „შვარც-ვაისი“ — 7:1 (4:0).

◆ ბუროსი (შვეცია), 22 ივნისი. სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრებმა დღეს აქ დაამარცხა ადგილობრივი „ელსბორგი“ — 1:0. საბჭოთა გუნდი ასეთი შემადგენლობით თამაშობდა: კავაზაშვილი, პონომარიოვი, კორნეევი, დანილოვი, ხურცილავა, საბო, სიჭინავა, მეტრეველი (პარკუიანი), ბანიშევსკი (მარქაროვი), მალოფეევი, ჰუსაინოვი. გოლი 77-ე წუთზე გაიტანა ჰუსაინოვმა.

## ბ. სპასკი კვლავ ბრძოლაში ჩაება

ჭადრაკში მსოფლიო პირველობის მონაწილე ბ. სპასკი ითამაშებს სოჭში დაწყებულ ჩიგორინის ხსოვნისადმი მიძღვნილ ტურნირში. დიდოსტატი ამ შეჯიბრების მთავარი მსაჯი უნდა ყოფილიყო, მაგრამ შეჯიბრების ერთ-ერთი უცხოელი მონაწილე ავად გახდა და სპასკიც დათანხმდა „პოსტი“ შეეცვალა. მის მაგივრად ტურნირის მთავარ მსაჯობას გასწევს ბ. სპასკის მწვრთნელი, დიდოსტატი ი. ბონდარევსკი.

სოჭის ტურნირში ითამაშებს 16 მოჭადრაკე. ესენი არიან: დიდოსტატები ნ. კროგიუსი, ვ. ანტოშინი, ლ. პოლუგაევსკი, ვ. კორჩნოი, კუბის ჩემპიონი რ. ორტეგა, რ. ფუქსი (გდრ), მ. ბობოცოვი (ბულგარეთი), გ. ბარცა (უნგრეთი), იუგოსლაველი სტუმრები — მ. ბერტოკი, მ. მატულოვიჩი, კ. ბრადვარევიჩი და სხვ.

## გუშინ...

თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა კალათბურთელ ქალთა ამხანაგური საერთაშორისო მატჩი. ერთმანეთს შეხვდნენ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და პრაღის „სლავიის“ გუნდები. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 75:57 (39:20). ყველაზე ბევრი ქულა თავიანთ კოლექტივებს შესძინეს: სტუმარმა მ. ინდროვამ (20) და მასპინძლებმა ა. კოვზირიძემ და გ. გრიგორიანმა (14-14).

მადრიდი, 21 ივნისი. 125 ათასი მაყურებელი დაესწრო მსოფლიო ჩემპიონების — ბრაზილიელების მატჩს ადგილობრივ „ატლეტიკოსთან“. გაიმარჯვეს ბრაზილიელებმა — 5:3. ისინი საბრძოლო შემადგენლობით გამოვიდნენ: ჟილმარი, ფიდელი, ბრიტო, ალტაირი, რ. ენრიკე, ზიტო, ჟერსონი, ჟაირზინიო, სერვილო, პელე და ამარილდო.

პირველი 30 წუთი მასპინძელთა უპირატესობით წარიმართა, მაგრამ შემდგომ თამაში გათანაბრდა. 45-ე წუთზე ესპანელმა კორდონამ 20 მეტრიდან უძლიერესი დარტყმით გახსნა ანგარიში.

შესვენების შემდეგ ჟერსონი ლიმამ შეცვალა, რომელმაც 3 წუთის შემდეგ ანგარიში გაქვითა.

ორიოდე წუთში ჩემპიონები დაწინაურდნენ: ბურთი გაიტანა ამარილდომ. ესპანელებმა პროტესტი გამოთქვეს — ბურთი თამაშგარე მდგომარეობიდან იქნა გატანილიო. ერთ-ერთმა ესპანელმა ფეხბურთელმა ჟაიომ მატჩის მსაჯს, ბრაზილიელ მარკეს შემოკრა კიდეც, რისთვისაც დაუყოვნებლივ გააძევეს. 57-ე, 72-ე (11-მეტრიანი საჯარიმოდან) და 89-ე წუთებზე გოლები გაიტანა „შავმა მარგალიტმა“ — პელემ.



ესპანელმა ლუისმა 61-ე და 81-ე (11-მეტრიანი საჯარიმოდან) წუთებზე შეამცირა ანგარიშში სხვაობა.

ელსგიორგი (დანია), 21 ივნისი. პორტუგალიის ეროვნულმა ნაკრებმა, რომელიც პირველად იასპარეზებს მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში, აქ დაამარცხა დანიის ნაკრები — 3:1 (1:0).

მე-13 წუთზე ანგარიში გახსნა ეუსებიომ. დანარჩენი 2 ბურთის ავტორია ტორესი.

ცნობილმა პორტუგალიელმა თავდამსხმელმა კოლუნამ განაცხადა: „ჩვენ შეგვიძლია მოვიგოთ მსოფლიო პირველობა, მაგრამ, ვფიქრობ, მაინც ვერ შევძლებთ ამას — ბრაზილიელები უფრო ძლიერნი არიან“.

ნაკრების ცენტრალურმა მცველმა ჟერმანომ თქვა: „დიახ, ჩვენ შეგვიძლია ჟიულ რიმეს თასი დავისაკუთროთ, ოღონდ თუ მინდორი მატჩების დროს მშრალი იქნა“. თავისი სიტყვების დასამტკიცებლად ჟერმანომ გაიხსენა შოტლანდიის ნაკრებთან ამასწინანდელი მატჩი გლაზგოში, როცა წვიმდა და პორტუგალიელებმა მინიმალური ანგარიშით გაიმარჯვეს — 1:0.

# მხარი დავუჭიროთ ზესტაფონელებს!

## საშვილიშვილო საქმე

ჩვენში, საქართველოში, ველორბოლას დიდი ხნის ისტორია აქვს, მაგრამ ტრეკზე შეჯიბრებები მას მერე დაინერგა, რაც საამისო ბაზა აიგო თბილისში. მას შემდეგ ვინ მოთვლის, რამდენი საინტერესო ტურნირის — საკავშირო, რესპუბლიკური თუ საქალაქო ასპარეზობის მოწმენი გახდნენ თბილისელი სპორტის მოყვარულები. ბევრი ნიჭიერი სპორტსმენი აღიზარდა ტრეკის ბეტონის ოვალზე, ბევრმა წარმატებით დაიცვა რესპუბლიკის სპორტული ღირსება საკავშირო თუ საერთაშორისო შეჯიბრებაში. მაგრამ ჩვენი ველოსპორტის ერთადერთი საწვრთნელი ბაზა უკვე მოძველდა და ველარ პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს. ახლა ყველანი ახალი ტრეკის მოლოდინში ვართ!

ამ ბოლო ხანებში ველოსპორტის გამოცდილ ოსტატთა რიგებს ზესტაფონელი ველოსიპედისტები, ხალასი ნიჭით უხვად დაჯილდოებული ახალგაზრდები შეუერთდნენ. პირდაპირ საოცარია, რომ ქალაქში, სადაც ველოტრეკი არ არის, იზრდება ველოსიპედისტთა მომავალი თაობა. მაგრამ ამის საწინდარია ზესტაფონელთა დიდი ლტოლვა სპორტის ამ სახეობისადმი.

თუ წარმატებით დაგვირგვინდა ზესტაფონელ თაოსანთა ოცნება, თუ რაიონის ცენტრში ველოტრეკი მართლაც აიგო, ზესტაფონი იქცევა ქალაქად, სადაც მომავალი ფხაკაძეები და დადუნაშვილები დაიზრდებიან.

მათ თაოსნობას უნდა მივესალმოთ. მაგრამ მარტო მისალმება რას გვარგებს?! ზესტაფონელებს ყოველმხრივ უნდა დავუჭიროთ მხარი და აქტიურად დავეხმაროთ. ეს უთუოდ საშვილიშვილო საქმე იქნება!

**ა. ხაბურზანია,**
სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი.

## ველოსიპედებზე „ამხედრებულნი“

... 1936 წელი. თბილისელი ველოსპორტის მოყვარულები საზეიმო შეხვედრას უწყობენ ძვირფას სტუმრებს — ზესტაფონელ ველოსიპედისტებს, თაოსნებს იმდროისთვის დიდი ველოგადარბენისა — ზესტაფონი — თბილისი. ზესტაფონელებს განზრახული ჰქონდათ ზეკარის უღელტეხილით ჩამოსულიყვნენ ჩვენს დედაქალაქში, მაგრამ ამ საწადელის შესრულებაში მოლაშქრეებს წყალუხვმა გაზაფხულმა შეუშალა ხელი. ნიაღვრებს გზები გაეფუჭებინა, გადარბენის მონაწილეები იძულებული გახდნენ მარშრუტი შეეცვალათ, უკან, ზესტაფონში დაბრუნებულიყვნენ და თბილისს ხაშურის გავლით სწვეოდნენ.

თბილისელი კოლეგები საქვეყნოდ ცნობილი სპორტსმენები ა. ხაბურზანია, გ. ლეჟავა, რ. ხაბალაშვილი და სხვები დედაქალაქის კარიბჭესთან თაიგულებით შეხვდნენ სტუმრებს, რომელთაც სპორტის დიდი ენთუზიასტი შალვა გეწაძე მოუძღვოდა.

... გვინდა მკითხველებმა იცოდნენ, რომ ზესტაფონში ველოსპორტს კარგა ხნის ისტორია აქვს. ეს ამბავიც სწორედ ამიტომ გავიხსენეთ. მას შემდეგ ბევრჯერ ასახელეს ქართული სპორტი აქ აღზრდილმა ველოსიპედისტებმა. ამ ნათქვამის დასტურად ოთარ დადუნაშვილის მოხსენიებაც კმარა. ოთარი ჯერ კიდევ მოწაფე იყო, სამგზავრო ველოსიპედით საქართველოს ჩემპიონობა რომ მოიპოვა მოზრდილთა შორის. ამ დღიდან იწყება სახელმოხვეჭილი სპორტსმენის დიდების გზა: 1950 წელს იგი პროფკავშირების ჩემპიონი და რეკორდსმენია; 1951 წელს წარმატებით გამოდის სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობაში რუმინეთს გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში; 1952 წელს ჰელსინკის ოლიმპიური თამაშების მონაწილეა. მართალია, ფინეთის დედაქალაქში ასპარეზობამ ოთარს დიდი წარმატება ვერ მოუტანა, მაგრამ სულ მალე მან მთელი ქვეყანა აალაპარაკა — 3 საკავშირო რეკორდი დაამყარა და სსრ კავშირის ჩემპიონის სახელიც მოიპოვა.

მიმდევარი? რამდენიც გნებავთ, იმდენი ჰყავს ოთარს ზესტაფონში. ოღონდ წვრთნის საშუალება მიეცი აქაურ ახალგაზრდობას, ოღონდ სპორტინვენტარით მოამარაგე და ნახავთ, სულ მალე ნახავთ დიდი სპორტის გზაზე ზესტაფონელ ველოსიპედისტებს! აკი ერთი „ვარსკვლავი“ უკვე აკიაფდა — ო. დადუნაშვილის აღზრდილი, ახალგაზრდა სპორტსმენი შ. კაცაძე.

ამას წინათ ტულაში სსრ კავშირის უძლიერეს ველოსიპედისტთა შეჯიბრება გაიმართა. სტარტზე სანსებასტიანის გმირი, მსოფლიო ჩემპიონი ო. ფხაკაძე და შ. კაცაძე გამოიძახეს. ტულა სამამულო ველოსპორტის აკვანია და, ცხადია, ამ საინტერესო შეჯიბრებას იქაურნი დიდი ინტერესით ელოდნენ. ხალხმრავლობა იყო ტრიბუნებზე. ახობით მაყურებლის სახეზე ღიმილი ათამაშდა, როცა ფხაკაძეს მხარში მათთვის ერთი უცნობი ჭაბუკი — შ. კაცაძე ამოუდგა.

... ყველამ ვიცით, რაოდენ ძნელია ახალგაზრდა ველოსიპედისტისთვის სახელმოხვეჭილ სპრინტერებთან ასპარეზობა. ფანტასტიკური სისწრაფის პატრონთან — ო. ფხაკაძესთან ახალბედა სპორტსმენი აბა, რას გააწყობდა! მაგრამ მან უბრძოლველად როდი დათმო პირველობა. შემდეგ მაინც ისახელა თავი, — ბევრი სახელმოხვეჭილი ველოსიპედისტი ჩამოიტოვა და ო. ფხაკაძისა და ოლიმპიური თამაშების მონაწილის, სსრ კავშირის ჩემპიონის ბ. რომანოვის შემდეგ III ადგილი დაისაკუთრა.

— კარგი, ეს კაცაძე. მაგრამ სხვები? — იკითხავს, ალბათ მკითხველი.

სიამოვნებით მოგახსენებთ: მ. გაგნიძე — სსრ კავშირის ნაკრების გუნდის წევრი, ტ. აბესაძე, გ. ბერიშვილი და სხვები — რესპუბლიკის ნაკრების წევრები.

მაგრამ საერთო წარმატებებისთვის ერთი და ორი სპორტსმენის სახელი როდი კმარა. აქ უკვე ველოსიპედისტთა მტკიცე კოლექტივია საჭირო. ზესტაფონელები არც ამ მხრივ დაუდებენ ტოლს ვინმეს: 1965 წელს, რესპუბლიკის ჩემპიონატში III ადგილი; წლეულს, ზუგდიდში, საქართველოს პირველობაზე ტრეკის პროგრამით — II ადგილი. აქ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ზესტაფონელები ამ შეჯიბრებაში 2 გუნდით გამოვიდნენ. ვინ იცის, იქნებ გამარჯვების სასწორი მათ მხარეს გადახრილიყო, შ. კაცაძესაც რომ ესასპარეზა?!

... ზესტაფონელ ახალგაზრდობას უყვარს ველოსპორტი. წვრთნისთვის ნორმალური პირობები რომ ჰქონდეთ, დადუნაშვილს, კაცაძესა და გაგნიძეს ბევრი მიმდევარი გამოუჩნდებოდა.

აი, რა გვითხრა ამის თაობაზე ბავშვთა სპორტსკოლის დირექტორმა შალვა გეწაძემ:

— ველოტრეკი რომ გვქონდეს, აბა, მაშინ უყურეთ ჩვენ ბიჭებს! ადგილი გამოგვიყონ და ლაშქარივით შევესევით, საზოგადოებრივ საწყისებზე მოვაწყობთ მიწის ვირაჟებს. მერე, ხომ იცით, ხალხნი ვართ, იქნებ ვინმემ ტრეკის მობეტონებაც იკისროს...

შალვა გეწაძე შორსმჭვრეტელი კაცია, მომავალზე ფიქრობს, იცის, რომ კარგი ბაზა ახალ-ახალი დიდი წარმატებების საწინდარი იქნება. ჩვენც ვუერთდებით მის აზრს და დაბეჯითებით ვამბობთ: ზესტაფონში ველოსტადიონის აგება აუცილებელია!

იმიტომ, რომ აქ თითქმის ყველა ახალგაზრდა ველოსიპედზეა „ამხედრებული“...

**ზ. ჯაფარიძე,**
**ნ. ბუბუშვილი.**
(ჩვენი სპეც. კორ.).

ზესტაფონი.

## დიდ სიხარულს მოგვიტანს

ზესტაფონში ვარ ფეხადგმული და გულით ვხარობ, რომ ამ ქალაქის ველოსიპედისტები წარმატებით გამოდიან არა მარტო რესპუბლიკურ, არამედ საკავშირო შეჯიბრებებშიც. ზოგჯერ მიკვირს კიდეც: მათ ხომ მარტივი ტიპის საწვრთნელი ბაზაც კი არ გააჩნიათ! მაგრამ მთავარი, ალბათ, ველოსპორტისადმი აქაური ახალგაზრდების დიდი სიყვარული და ენთუზიასტთა უჩვეულო მონდომება და გულისხმიერებაა.

ამას წინათ ზესტაფონში ვიყავი. ახალგაზრდებმა გამანდეს — საზოგადოებრივ საწყისებზე გვინდა ველოტრეკი ავაშენოთო. მათი კეთილი განზრახვა, ცხადია, იმ შემთხვევაში განხორციელდება, თუ რაიონის ხელმძღვანელები დაუჭერენ მხარს. მჯერა ამ ჭაბუკებისა და ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ თუ მათ ტრეკის ასაშენებლად მისცემენ ადგილს, ძალ-ღონეს არ დაიშურებენ და კლდეს გაანგრევენ.

დახმარების ხელი გავუწოდოთ ამ დიდ წამოწყებას. რამდენიმე წლის შემდეგ იგი დიდ სიხარულს მოუტანს ველოსპორტის ქართველ მოყვარულებს.

**ო. დადუნაშვილი,**
სსრ კავშირის ექს-ჩემპიონი და ექს-რეკორდსმენი, სპორტის ოსტატი.

## თბილისელთა უპირატესობით

კლასიკურ მოჭიდავეთა ტურნირში ჩვენი რესპუბლიკის 132-მა მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა. მოასპარეზენი ორ ჯგუფად იყვნენ გაყოფილი. გამარჯვებულებს ჩვენი ქვეყნის მოსწავლეთა ზონალურ პირველობაში მონაწილეობის უფლება ეძლეოდათ (ეს შეჯიბრება ერევანში გაიმართება). ამიტომ ტურნირი თავიდანვე მეტად დაძაბულად წარიმართა.

სამდღიანი ასპარეზობის შემდეგ მოსწავლეთა სპარტაკიადის ჩემპიონები გახდნენ (წონითი კატეგორიების მიხედვით): პ. კვაჭაძე, ე. გოგიშვილი (ორივენი — ბათუმი), ვ. ჯორჯიკია (სოხუმი), ვ. კრავეიშვილი, რ. გვარამაძე, თ. ფილიშვილი, გ. ბებიაშვილი, გ. გარუჩავა, ვ. სადრიშვილი, შ. აბაშიძე (ყველანი — თბილისი).

გუნდური I ადგილი წილად ხვდა თბილისის ნაკრებს. II ადგილზეა ქუთაისის კოლექტივი, III — ბათუმის გუნდი. II ჯგუფში I ადგილი დაიკავეს წითელწყაროელებმა, II — ზესტაფონელებმა, III — მახარაძელებმა.

**ტ. ფილიშვილი,**
სპორტის ოსტატი.



მოსწავლეთა რესპუბლიკურ სპარტაკიადაში თავი გამოიჩინა ნორჩმა ზუგდიდელმა ნ. გარდავამ, რომელმაც ყველას აჯობა II თანრიგის ტანმოვარჯიშეთა შეჯიბრებაში. სურათზე: ნ. გარდავა ასპარეზობისას.

ფოტო გ. გოგნიაშვილისა.

## ორ იუბილეს მიუძღვნეს

აჭარის „მონკავშირის“ სტენდზე გაიმართა „სპარტაკის“ ფიზკულტურული კოლექტივების ასპარეზობა სასტენდო სროლაში. ღონისძიება შოთა რუსთაველის იუბილეს და ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50-ე წლისთავს მიეძღვნა.

ადგილიდან სროლაში ყველას აჯობა კომუნალურ-საყოფაცხოვრებო საწარმოთა გუნდის წარმომადგენელმა, სპორტის ოსტატობის კანდიდატმა პ. რადჩენკომ, რომელმაც 100 თეფშიდან 91 დაამსხვრია.

მრგვალ სტენდზე სროლაში პირველი იყო ქალაქის ავტოსახელოსნოს გუნდის წევრი გ. მანუკიანი.

კომპლექსში გუნდური I ადგილი კომუნალურ-საყოფაცხოვრებო საწარმოთა სპორტსმენებმა გაინაღდეს.

შვიდმა სპორტსმენმა შეასრულა სათანრიგო ნორმები.

**ო. მურვანიძე.**
(ჩვენი კორ.).

ბათუმი.

### ცხინვალი

გაიმართა სამხრეთ ოსეთის პირველობა ფრენბურთში სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა ნაკრებ გუნდებს შორის. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ „სპარტაკის“, „განთიადის“, „ბურევესტნიკის“, „კოლმეურნისა“ და ბავშვთა სპორტული სკოლის კოლექტივები. ვაჟთა ფინალში „განთიადმა“ მოუგო სპორტსკოლის ფრენბურთელებს — 2:1, ხოლო ქალთა გადამწყვეტ მატჩში სპორტსკოლის გუნდმა ასეთივე ანგარიშით დაამარცხა „ბურევესტნიკი“.

**ვ. მელქაძე.**

# ბურთი და მოედანი — ბავშვებს!

## მოსწავლეთა XVIII

საქართველოს სპორტკავშირის აუზში ოთხ დღეს ასპარეზობდნენ ნორჩი მოცურავეები. ტურნირში მხოლოდ I ჯგუფის გუნდების (თბილისის, აფხაზეთის, აჭარისა და ქუთაისის) სპორტსმენები მონაწილეობდნენ; მათგან ყველაზე უფროსები 1951 წელს დაბადებული ჭაბუკები და გოგონები იყვნენ. ამ ასაკის სპორტსმენები ხშირად საერთაშორისო კლასის შედეგებსაც აღწევენ, მაგრამ, სამწუხაროდ, ზემოდასახელებული ტურნირის მონაწილეთა უმეტესობამ I თანრიგის ნორმაც ვერ შეასრულა. ჭაბუკებისა და გოგონების ასპარეზობის პროგრამით გათვალისწინებულ 28 სახეობაში მხოლოდ 10-მა მოცურავემ აჩვენა I თანრიგის შედეგი. თბილისელთა ჰეგემონობა კი მათგან მხოლოდ ერთმა, სოხუმელმა ა. ანდრეევამ დაარღვია. საერთოდ, შეჯიბრება მასპინძელთა აშკარა უპირატესობით მიმდინარეობდა: 28 პირველი ადგილიდან 27 თბილისელებმა მოიპოვეს. მხოლოდ 800 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში წააგეს მასპინძელმა გოგონებმა.

სპორტსმენთა მომზადების დაბალ დონეზე მეტყველებს ის, რომ საქართველოს საუკეთესო ნორჩმა მოცურავეებმა ძლივს შეძლეს ერთადერთი რეკორდის დამყარება: თბილისის I კოლექტივმა (თ. ლეკვეიშვილი, ი. ეფიმოვა, ს. ღირბაძე და ი. ოვჩინიკოვა). გოგონათა კომბინირებულ ესტაფეტაში 4X100 მეტრზე აჩვენა 5.29,4.

მართალია, მაინცდამაინც მაღალი შედეგებით ვერც გამარჯვებულნი — თბილისელი სპორტსმენები დაიქადნიან, მაგრამ ისინი მაინც ვაჟკაცური შემართებით იბრძოდნენ ყველა დისტანციაზე. ამას ვერ ვიტყვით შეჯიბრების სხვა მონაწილეებზე, განსაკუთრებით აჭარისა და ქუთაისის მოცურავეებზე. ისინი აშკარად მოუმზადებელი ჩამოვიდნენ საასპარეზოდ, სწორედ ამიტომ იყო, რომ მათგან ზოგი მოზარდთა თანრიგის ნორმასაც ვერ შესწვდა. მაგალითად, 100 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში მოასპარეზე 7 გოგონადან ბოლო ადგილზე დარჩენილმა ტ. დუბიკოვამ (აჭარა) აჩვენა 2.20,9, მაშინ, როცა ჩემპიონმა ს. ღიბრაძემ დისტანცია თითქმის 1 წუთით ადრე (1.26,1) დაამთავრა. უთანრიგოდ დარჩნენ დუბიკოვას თანაგუნდელები ი. ბაბკინა და ე. ლაიკოც (100 მეტრზე ზურგზე ცურვაში). ი. ნემოშკალოვამ 400 მეტრზე კომპლექსური ცურვის ფინიშამდეც ვერ მიაღწია. მათ არც აფხაზეთის სპორტსმენები ს. ლოზა და ვ. ვოლკოვა, ქუთაისელი ვაჟები ი. მალცევი, დ. საბადაშვილი და თ. ჟღენტი, აჭარის გუნდის წევრები ს. რეშეტნიკოვი, ვ. ერიომინი და ა. ქობულაძე „ჩამორჩნენ“.

იქნებ ქუთაისის, აფხაზეთისა და აჭარის მოსწავლეთა ნაკრები გუნდების მწვრთნელებმა თავი იმით იმართლონ, რომ ვარჯიშისთვის ნორმალური პირობები არ გააჩნიათ და ამიტომ



# ერთადერთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართული სპორტის ქრონიკა

მასალები შეკრიბა და მოამზადა ვ. სიდამონიძემ.

ფიურერის ცირკში წარმოდგენებსა ქმართავს ვიღაც ბ-ნი ფოსსი. ეს ფოსსი მეტად მძლავრი და ღონიერი კაცია, ორს გაჭენებულს ცხენს იმაგრებს ხელით და ამის წარმოდგენაც ის არის, რომ თავის ღონივრობით აკვირვებს და აოცებს საზოგადოებას. ეხლა, როგორც ამბობენ, ბ-ნს ფოსს განუძრახავს გაუმკლავდეს ჩვენებურს ღონიერს ბიჭებსა და დაეჭიდოსო.

„ივერია", 1888 წ. № 39.

მომავალ კვირას „იტალიის" ბაღში გაიმართება ჭიდაობა საქველმოქმედო აზრით. იჭიდავებენ პროვინციის ცნობილი მოჭიდავენი. ეჭვი არ არის, რომ ტფილისის საზოგადოება, რომელიც ასეთის გულმოდგინებით ესწრება ჭიდაობას, გინდაც რომ შემოსავალი მოჭიდავეთა სასარგებლოდ მიდიოდეს. უყურადღებოდ არ დასტოვებს მომავალს ჭიდაობას, რომლის შემოსავალმაც უნდა ხელი მოუმართოს ერთს ახალგაზრდა მოსწავლე ქართველს. ეს ქართველი დღეს ერთ-ერთ უმაღლეს სასწავლებელში ამთავრებს სწავლას და სწორედ ეხლა დასდგომია გაჭირვება სიღარიბისა. მით უმეტეს მოსალოდნელია, რომ თავის წვლილს არავინ დაიშურებს ამ კეთილის საქმისთვის.

„ივერია", 1888 წ. № 253.

ამ ჟამად ტფილისში იმყოფება მოჭიდავე მეგრელი, ბ-ნი ნესტორ ესებუა. რომელსაც უნდა კვირას, 29 ივლისს, ჭიდაობა გამართოს იტალიის ბაღში „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" სასარგებლოდ. ბ-ნი ესებუა შემდეგაც აპირებს ჭიდაობას, თუ გამოჩნდება ფალავანი და მოისურვებს სცადოს თავისი ძალა და ღონე მასთან ჭიდაობაში.

„ივერია", 1890 წ. № 158.

გუშინ-წინ, კვირას, იტალიის ბაღში ჭიდაობა ჰქონდა გამართული კულა გლდანელს ბაქოდგან ახლად ჩამოსულ ნახიჩევანელ ლეონ ვალიანცევთან, რომელსაც ალთი-ბილული გაულახნია. ამ ჭიდაობის მაუწყები გლდანელი განცხადებაში სწერს, რომ რადგან ნესტორ ესებუა აცხადებს გაზეთებში, ჭიდაობას ვაპირებო, და იწვევს მსურველთ, მეც ჩემის მხრივ ვიწვევ ესებუას შემდეგის პირობით: თუ დამძლია და გამლახა, სამოცი თუმანი მიიღოს და თუ გაილახა, ათი თუმანი ღარიბების სასარგებლოდ გაიღოს თავის ჯიბიდგანაო, ხოლო თუ არ დამეჭიდა და უკან გადადგა, დღეის შემდეგ ნუღარ გამოაცხადებენ ნურც გაზეთში და ნურც კერძოდ თავის ჭიდაობის ამბავსო. რამდენადაც ვიცით, ესებუა სიამოვნებით დათანხმდება გლდანელთან ჭიდაობას და საზოგადოება კვლავ ჰნახავს ამ ორის მოჭიდავის ბრძოლას.

„ივერია", 1890 წ. № 163.

ფ ო თ ი. 1 მაისს ფოთელებს ვერ დაუდგათ კარგი ამინდი. მაგრამ, მიუხედავად იმისა, სტუმრები მაინც ბევრი გვეწვია. ნაშუადღევს ცოტათი გამოიდარა და ხელი შეუწყო დამზადებულ მობურთავეთ. $4^1/_2$ საათზე გავარდა ბურთი და იგრიალა პარკში მოგროვილმა აუარებელმა ხალხმა. ყველა ბურთს ეტანებოდა, მაგრამ ამათში 130 იმერელმა მუშამ უფრო ისახელა თავი, ესენი იერიშით მივიდნენ და ნახევარ საათში ბურთი ლელოზედ მიიტანეს. ამ დროს გურული მუშებიც მიეშველნენ და ბურთი ლელოსაც გაააცილეს. გამარჯვებულთ დაამტვრიეს ხის ტოტები და სიმღერით პარკი შემოიარეს.

„ივერია", 1900 წ. № 96.

გასულ კვირას, ამ თვის 5, იოსებ ბაქრაძემ დიდუბეში სახალხო დოღი გამართა.

ჯერ გავიდა ხუთი ცხენი და ბაირაღთან პირველად ავეტიქ სემიონოვის ცხენი მივიდა; ორი ვერსი გაირბინა 1 წუთსა და 8 წამში, საჩუქრად პატრონმა მიიღო ექვსი მანეთი. შემდეგ მოვიდა ხოჯაევის ცხენი და საჩუქრად ამის პატრონმა აგრეთვე ფული მიიღო. გამოიყვანეს კიდევ ორი იორღა ცხენი ბ-ნი სვიმონოვისა და ბ-ნ მამადხანისა. ამ უკანასკნელის ცხენი კარგი იორღა გამოდგა და პირველად მოვიდა ბაირაღთან. ორი ვერსი გაირბინა 4 წუთსა და 37 წამში. შემდეგ ბ-ნ იგიდხანოვის ეტლი გამოვიდა და ერთს ვერსს შემოურბინა 1 წუთსა და 33 წამში. ეტლის პატრონმა არა მიიღო-რა, რადგანაც მისს ეტლს ერთი ვერსი უნდა შემოერბინა ერთს წუთში და 33 წამი დაიგვიანა. შემდეგ გამოიყვანეს ხუთი აქლემი. პირველად მოვიდა მამად აბდულა ოღლის აქლემი და პატრონმა საჩუქრად სამი თუმანი მიიღო. მეორედ მოვიდა ბაირამ ახმედ-ოღლის აქლემი და პატრონმა საჩუქრად 15 მ მიიღო. ბოლოს გამოვიდა ოთხი ახალგაზრდა ყმაწვილი კაცი. ამასთან საჩუქარი მიიღო ბ-ნმა ჩიქოვანმა, რომელმაც ერთი ვერსი შემოურბინა 5 წუთსა და 17 წამში.

„ივერია", 1891 წ. № 96.

კვირას, 12 მაისს, მეორე გიმნაზიაში მოსწავლეთა ვარჯიშობა იყო — საგიმნასტიკო და სამხედრო. ნაშუადღევის 1-ლს საათზე გიმნაზიის ეზოს მხრით შენობის ორივე სართულის ბალკონი მთლად გაჭედილი იყო მოპატიჟებული სტუმრებით. ამათ შორის იყვნენ საპატიო სტუმრებიც.

დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც ამ გიმნაზიაში ესეთი ვარჯიშობა შემოიღეს, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ გიმნასტიკაცა და სამხედრო ვარჯიშებიც კარგად შეუსწავლიათ მოსწავლეებს, განსაკუთრებით გიმნასტიკა. სასიამოვნო სანახავი იყო, როცა გიმნაზიის ეზოში რიგზე დამწკრივებული შეგირდები გიმნასტიკის ოსტატის ხელმძღვანელობით მწყობრად ასრულებდნენ დანიშნულ პროგრამას. ამ პროგრამაში საყურადღებო იყო ერთი ვარჯიშობა, ნიმუში იმ ვარჯიშებისა, რომელსაც ასრულებდნენ იმა წლის 17 ივნისს ქალაქს პრაგაში (ჩეხიაში) საგიმნასტიკო საზოგადოებათა კრებაზე. მთელი გიმნაზიის ეზო დახაზული იყო და ზედ მწყობრად დამწკრივებულნი იყვნენ მოსწავლენი. ოსტატის ხელმძღვანელობით ყმაწვილებმა ასრულეს სხვადასხვა მოძრაობა სხეულისა და სხეულის ნაწილობისა.

დასასრულ გენერალ ლეიტენანტმა ერნესტმა „ცერემონიის მარშით" ჩაატარა მხარზე თოფ გადადებული შეგირდები და ისინიც, რომელთაც გიმნასტიკა ასრულეს. გენერ. ერნესტმა მადლობა გამოუცხადა სამხედრო ვარჯიშობის ოსტატს ბ-ნ კაპიტანს და გიმნასტიკის ოსტატს ბ-ნ გრუმლიკს, აგრეთვე მემუსიკეთა დასს გიმნაზიის შეგირდებისა, რომლის მასწავლებელი ბ-ნი მაშნერია.

„ივერია", 1891 წ. № 100.

ფეხბურთი

# ლიდერის წაგება

„ირისთონი" (ცხინვალი) — „მეტალურგი" (ზესტაფონი) 2:1 (2:1).

„ირისთონი": ქრისტესიაშვილი, ხიდაშელი, მარგიევი, ძაგოევი, ქოქოევი, გაბოძე, მებურნუთოვი, ბიბილოვი, გაგიევი, კაბულოვი, ჰიჭოევი.

„მეტალურგი": გაბისკირია, ნიკოლეიშვილი, ალხაზიშვილი, შეყრილაძე, ფიოდოროვი, ჭანგავაძე, ტოგონიძე, ბედოევი, სხილაძე, ცირეკიძე, ფანცხავა.

მსაჯი ვ. გავრილოვი (თბილისი).

ზესტაფონის „მეტალურგის" გამოსვლამ ცხინვალელ ფეხბურთის მოყვარულთა დიდი ინტერესი გამოიწვია. „მეტალურგს" პირველ წრეში დამარცხებული ჰყავდა „ირისთონი" ანგარიშით 3:0 და მასპინძლები საგანგებოდ ემზადებოდნენ რევანშის ასაღებად.

მართლაც, ცხინვალელებმა გააზრებულად, მონდომებულად ითამაშეს. მათ თავიდანვე ხელთ იგდეს უპირატესობა და კონტროლი დაამყარეს მინდვრის ცენტრში. პირველი ბურთი გაიტანა გაგიევმა, რომელმაც თავზე გადაუგდო ბურთი კარიდან გამოსულ გაბისკირიას. მალე მასპინძლებმა მეორე ბურთიც გაიტანეს და... ანგარიში გათანაბრდა: ქოქოევმა საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი — 1:1.

მე-40 წუთზე ქოქოევმა მოაწოდა კუთხური. ბურთმა წრე შემოხაზა ჰაერში და ჩაეშვა კარში — 2:1.

მეორე ტაიმში სტუმრებმა გარდატეხა შეიტანეს თამაშში. ისინი ხშირად ქმნიდნენ სახიფათო მომენტებს მეტოქის კართან, მაგრამ „ირისთონის" დაცვა და მტკიცე ორგანიზებულად იგერიებდნენ მოწინააღმდეგის იერიშებს. გუნდმა შეძლო ძნელი, მაგრამ დამსახურებული გამარჯვების შენარჩუნება.

ვ. მელქოევი.
(ჩვენი კორ.).

გაიმართა მორიგი ტურის მატჩები.

● „მესხეთი" (ახალციხე) — „ტორპედო" (გაგრა) 5:0. მსაჯი მ. მედვედევი (რუსთავი).

● „დინამო" I (თბილისი) — „სინათლე" (თბილისი) 0:4. მსაჯი ა. აბულაშვილი (თბილისი).

მატჩის დასაწყისი არაფრით მეტყველებდა იმაზე, რომ დინამოელები ასეთი ანგარიშით წააგებდნენ. დაახლოებით 20 წუთის მანძილზე იბრძოდა თანაბარი ძალის ორი მოწინააღმდეგე. მაგრამ მას შემდეგ, რაც კანდელაკმა გახსნა ანგარიში, „სინათლემ" მტკიცედ აიღო ხელთ ინიციატივა და დამსახურებულ გამარჯვებასაც მიაღწია.

● „ქართლი" (გორი) — „ოდიში" (ზუგდიდი) 2:0. მსაჯი ვ. შახნაზაროვი (თბილისი).

პირველი ტაიმი მიმდინარეობდა ორმხრივ იერიშებში და დამთავრდა უშედეგოდ — 0:0. შესვენების შემდეგ ანგარიში გახსნა გორელმა დედიაშვილმა. 75-ე წუთზე ხუნდაძემ ზუსტად გამოიყენა პენალტი და „ქართლმა" გამარჯვებულმა დატოვა მინდორი.

● „ფერიქარი" (წულუკიძე) — „მალაროელი" (ჭიათურა) 2:0. მსაჯი ე. ჩიფჩიური (თბილისი).

წულუკიძელთა უპირატესობა ცხადი შეიქნა მეორე ტაიმში. გუნდის თავდამსხმელმა მენაბდემ ორჯერ აიღო მოწინააღმდეგის კარი.

● „შუქურა" (ქობულეთი) — „კოლხეთი" (ცხაკაია) 8:0. მსაჯი ა. სიანოზოვი (თბილისი).

პირველ წარმატებას მასპინძლებმა მიაღწიეს მე-5 წუთზე (მანელიშვილი). მცირე ხნის შემდეგ ურუშაძემ მეორედ აიღო „კოლხეთის" კარი და ქობულეთელთა გამარჯვება უკვე რეალობად იქცა. მართალია, სტუმრები ენერგიულად თამაშობდნენ და რამდენიმე სახიფათო მომენტიც შექმნეს, მაგრამ საპასუხო ბურთის გატანა ვერ შეძლეს. მეორე ტაიმში მანელიშვილმა კიდევ 1 ბურთი გაიტანა და „შუქურამ" დიდი ანგარიშით მოიგო მატჩი.

● ნარინჯი" (ბათუმი) — „მერცხალი" (მახარაძე) 0:1. მსაჯი მ. ნადიროვი (რუსთავი).

მატჩი ჩატარდა საინტერესოდ, დაძაბულ ბრძოლაში. 41-ე წუთზე ბათუმელთა კარში დაინიშნა კუთხური. თალაკვაძის მიერ მოწოდებული ბურთი შეუფერხებლად გავიდა კარში და ამ გოლმა გამარჯვება მოუტანა „მერცხალს".

● ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „ლოკომოტივი" (სამტრედია) 1:1. მსაჯი ა. ვარდიაშვილი (თბილისი).

პირველი ტაიმი დამთავრდა უშედეგოდ. ანგარიში მეორე ნახევარში გახსნეს სტუმრებმა (მანჯავიძე), რასაც სტუდენტებმა ძლიერი კონტრშეტევით უპასუხეს. საპასუხო ბურთის გატანა შეძლო ცინცაძემ.

● „კოლმეურნე" (წალენჯიხა) — ახკ (თბილისი) 0:0. მსაჯი ლ. ჯოხაძე (ხაშური).

● „მეშახტე" (ტყვარჩელი) — „ბახმარო" (ჩოხატაური) 2:1. მსაჯი რ. ლაზიშვილი (ბათუმი).

● ლანჩხუთის „გურიასთან" გამოუცხადებლობის გამო ქუთაისის „დინამოს" წაგება ჩაეთვალა.

## მეორე ქვეჯგუფი

### I ზონა

„არაგვი" (მცხეთა) — „გარეჯი" (საგარეჯო) 2:1, „ძერეთი" (ლაგოდეხი) — „შირაქი" (წითელწყარო) 0:1, „კოლმეურნე" (მარნეული) — „სამცხე" (აწყური) 2:5, „მეტალურგი" (რუსთავი) — „დურუჯი" (ყვარელი) 3:1.

### II ზონა

„ცისკარა" (ბათუმი) — „ცისარტყელა" (თბილისი) 2:0, „სამგურალი" (წყალტუბო) — „მშენებელი" (ჭიათურა) 7:1, „აერო" (გალი) — „ლაითური" (მახარაძე) 1:0, „სულორი" (ვანი) — „საირმე" (მაიაკოვსკი) 1:0, „სალხინო" (გეგეჭკორი) — „კოლხიდმშენი" (ფოთი) 2:1, „კოლხეთი" (ხობი) — „ჩიხურა" (საჩხერე) 1:1, „მშენებელი" (ჭიათურა) — „ცისკარა" (ბათუმი) 3:1.

ბ კლასი IV ზონა

გაიმართა მორიგი ტურის მატჩები სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ბ" კლასის რსფსრ-ს IV ზონაში.

დამარცხება განიცადეს სოხუმის დინამოელებმა, რომლებიც მაიკოპში ხვდებოდნენ ადგილობრივ „უროჟაის" — 2:4.

კრიმსკში ერთმანეთს ეთამაშნენ ადგილობრივი „უროჟაი" და ფოთის „კოლხიდა". გაიმარჯვა „ეროჟაიმ" — 1:0.

## მარცხიანი ტური

ნოვოროსიისკში ადგილობრივმა „ცემენტმა" მიიღო ზუგდიდის „ენგური". გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 1:0.

21 ივნისს გამართული სხვა მატჩების შედეგები ასეთია: „ლერნაგორცი" (კაფანი) — „მაშინოსტროიტელი" (პიატიგორსკი) 2:0, „ლორი" (კიროვაკანი) — „დინამო" (მახაჩყალა) 1:1, „სევანი" (ოქტემბერიანი) — „უროჟაი" (დერბენტი) 3:1, „ურალანი" (ელისტა) — „სპარტაკი" (კისლოვოდსკი) 1:0.

## [illegible]

● გარახოვი, 21 ივნისი. ჩეხოსლოვაკიის ამ ქალაქში დამთავრდა ქვეყნის ღია ჩემპიონატი, რომელშიც მონაწილეობდნენ იუგოსლაველი, უნგრელი, რუმინელი, საბჭოთა და სხვა ქვეყნების მოჭადრაკენი, მათ შორის, იანოშევიჩი, ბილეკი, პადევსკი, ჩოკილტია, ფურმანი, ტაიმანოვი და სხვ. 12 ქულით I ადგილი დაიკავა ლენინგრადელმა ფურმანმა.



გუნდური ჩათვლა: 1. თბილისი — 37 ქულა, 2. აფხაზეთი — 90, 3. აჭარა — 105, 4. ქუთაისი — 186.

• • •

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: მარჯვნივ — 100 მ ზურგზე ცურვის მონაწილე გოგონები დისტანციაზე; მარცხნივ — თბილისელი ე. მძინარიშვილი შეჯიბრების დროს.

ფოტო ავტორისა.

სპორტსმენთა ტექნიკური მომზადების დროულად სრულყოფა გაუჭირდათ (ნაწილობრივ, მართალიც არიან). მაგრამ... პირდაპირ გაგვაოცა იმ გარემოებამ, რომ მწვრთნელები შეჯიბრებისას აუზის ირგვლივ დარბოდნენ და აღსაზრდელებს ყვირილითა და ხელების ქნევით „ამხნევებდნენ", კარნახობდნენ, ფეხები ასე და ასე ამოძრავეთ, ხელი ასე და ასე მოუსვით, ასე ისუნთქეთო და ა. შ. გარდა იმისა, რომ ეს მიუტევებელი უწესრიგობაა, არა გვგონია, წვრთნის ამგვარმა „მეთოდმა" რაიმე სარგებლობა მოუტანოს ნორჩ სპორტსმენებს.

და მაინც, შეჯიბრება მრავალმხრივ იყო საინტერესო. ტურნირმა გამოავლინა ბევრი ნიჭიერი სპორტსმენი. თუ მწვრთნელები და მათი აღსაზრდელები სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადამდე დარჩენილ დროს გონივრულად გამოიყენებენ და რეგულარულად ივარჯიშებენ, ჩვენი რესპუბლიკის მოზრდილთა ნაკრები მათი სახით სათანადო შევსებას მიიღებს.

ო. გელაშვილი.

### ტექნიკური შედეგები

გოგონები. თავისუფალი სტილით ცურვა: 100 მ — ი. ოვჩინიკოვა — 1.11,3, ლ. ონიპოვა — 1.11,5, ვ. შამყულაშვილი (ყველანი — თბ. I) — 1.18,3, 200 მ — ი. ოვჩინიკოვა — 2.41,5, ვ. შამყულაშვილი — 2.55,8, ც. ჩიტაიშვილი (თბ. I) — 2.57,4, 400 მ — ლ. ბურკინა (თბ. I) — 6.11,5, ს. ოვჩაროვა (აფხაზ.) — 6.21,0, ც. ჩიტაიშვილი — 6.26,2, 800 მ — ს. ოვჩაროვა — 13.01,2, ლ. ბურკინა — 13.06,3, ნ. ვილბაუმი (თბ. I) — 14.29,5; ბრასი: 100 მ ი. ეფიმოვა — 1.27,7, ე. მძინარიშვილი (ორივენი — თბ. I) — 1.29,3, ა. ანდრეევა (აფხაზ.) — 1.29,5, 200 მ — ი. ეფიმოვა — 3.07,8, ა. ანდრეევა — 3.11,7, ე. მძინარიშვილი — 3.21,9; ბატერფლაი: 100 მ — ს. ლიბრაძე — 1.26,1, მ. ქაჯაია — 1.31,0, რ. გოჩიტაშვილი (ყველანი — თბ. I) — 1.33,2, 200 მ — ს. ლიბრაძე — 3.25,8, რ. გოჩიტაშვილი — 3.33,7, მ. ქაჯაია — 3.36,8; ზურგზე: 100 მ — თ. ლეკვეიშვილი — 1.20,7, მ. სალარაძე (ორივენი — თბ. I) — 1.27,8, თ. ლოხოვა (აფხაზ.) — 1.33,7, 200 მ — თ. ლეკვეიშვილი — 2.56,4, მ. სალარაძე — 3.10,8, ვ. კორნიენკო (თბ. II) — 3.16,2; კომპლექსური ცურვა: 200 მ — თ. იასტრებინსკაია — 3.10,5, ი. ბახი (ორივენი — თბ. I) — 3.17,3, ტ. შორენკო (აფხაზ.) — 3.26,7, 400 მ — ლ. თსიბოვა (თბ. I) — 6.52,2, თ. იასტრებინსკაია — 7.16,1, ნ. აკოფოვა (თბ. II) — 7.39,7; ესტაფეტები. თავისუფალი სტილით 4×100 მ — თბილისი I — 5.03,7, აფხაზეთი — 5.41,5, აჭარა — 6.18,3; კომბინირებული 4×100 მ — თბილისი I (ლეკვეიშვილი, ეფიმოვა, ლიბრაძე, ოვჩინიკოვა) — 5.29,4 (რეკორდი), აფხაზეთი — 6.08,8, აჭარა — 7.20,3.

ვაჟები. თავისუფალი სტილით ცურვა: 100 მ — გ. ბოლქვაძე — 1.05,9, ზ. ხურცილავა (ორივენი — თბ. I) — 1.06,2, ვ. პლაკსეევი (აფხაზ.) — 1.07,9, 200 მ — ზ. ხურცილავა — 2.27,2, გ. ბოლქვაძე — 2.29,8, ე. აირაპეტოვი (თბ. I) — 2.40,7, 400 მ — ს. მატვეევი — 5.15,5, ტ. ნოვიკოვი (ორივენი — თბ. I) — 5.21,5, ე. შაპირო (აფხაზ.) — 5.36,1, 1.500 მ — ს. მატვეევი — 20.53,4, ვ. ჰარბაძე (თბ. I) — 22.00,4, გ. ბოლქვაძე — 22.09,2; ბრასი: 100 მ — ი. კირდიანოვი — 1.16,8, თ. წყაროველი — 1.21,1, ი. ჩეკომაზოვი (ყველანი — თბ. I) — 1.23,4, 200 მ — ი. კირდიანოვი — 2.55,6, თ. წყაროველი — 2.57,5, ი. ჩეკომაზოვი — 3.06,2; ბატერფლაი: 100 მ — ი. შკინინი — 1.13,7, პ. გევორქოვი — 1.16,4, ი. ბოროდინი (ყველანი — თბ. I) — 1.16,7, 200 მ — პ. გევორქოვი — 2.59,7, ი. ბოროდინი — 2.59,8, ე. პოლტოხნიენტი (აჭარა) — 3.16,2; ზურგზე: 100 მ — გ. მეშჩერიაკოვი — 1.16,2, ა. ანდრეევი (ორივენი — თბ. I) — 1.19,5, ვ. ბარანიკოვი (აჭარა) — 1.24,0, 200 მ — გ. მეშჩერიაკოვი — 2.47,8, ა. ანდრეევი — 2.53,3, ვ. ბარანიკოვი — 3.06,3; კომპლექსური ცურვა: 200 მ — ა. ხეჩტიანი (თბ. I) — 2.40,2, ი. შკინინი — 2.40,3, ს. პიპინიანი (აფხაზ.) — 3.01,8, 400 მ — ა. ხეჩტიანი — 5.51,0, ა. ნოვიკოვი (თბ. I) — 6.04,3, ი. ოშჩენკო (აჭარა) — 6.45,5; ესტაფეტები: თავისუფალი სტილით 4×100 მ — თბილისი I — 4.26,3, აფხაზეთი — 4.50,1, აჭარა — 5.09,7, კომბინირებული 4×100 მ — თბილისი I — 4.57,7, აფხაზეთი — 5.39,3, აჭარა — 5.39,5.

# რეკორდი

# დროა დაშალდეს მერანი

არის შეჯიბრებები, რომელთა მიმართ მოთხოვნები მარტო დებულების პუნქტებით არ ამოიწურება. მათ ყოველმხრივ სწავლობენ სპეციალისტები. აკვირდებიან ნაკლოვანებებს, ახალ მიღწევებს წინა წლების შედეგებს ადარებენ და ისე გამოთქვამენ მერმისის იმედს. ასე იყო რესპუბლიკის ჭაბუკ ცხენოსანთა პირად-გუნდურ პირველობაზეც. მწვრთნელებსა და ქომაგებს ბევრი საჭირბოროტო საკითხი აინტერესებდათ, მთავარი კი საკავშირო პირველობისთვის ჭაბუკ სპორტსმენთა მზადყოფნის შემოწმება გახლდათ.

სპორტის ყოველ სახეობაში მასობრიობაა წინსვლის ნიშანი. ჭაბუკ ცხენოსანთა თბილისში გამართული ასპარეზობა ამ მხრივ დიდად ვერ დაიქადნიდა. საინტერესოა, რატომ ივიწყებენ ზემდგომი ორგანოების დადგენილებას ჩვენს რესპუბლიკაში საცხენოსნო სპორტის შემდგომი განვითარების თაობაზე?!

სამწუხაროდ, ასპარეზობაში მონაწილეობა არ მიიღო ბევრმა ისეთმა რაიონმაც კი, საცხენოსნო სპორტის კარგი ტრადიცია რომ აქვს. ჩვენ, პირველ ყოვლისა, ჩოხატაურელ სპორტსმენთა ჩამოუსვლელობამ შეგვაშფოთა, მაგრამ მათ პაკმაო წინდახედულება გამოიჩინეს და მსაჯთა კოლეგია დარდს რომ არ მისცემოდა, დეპეშა აფრინეს: „ჭაბუკების უქონლობის გამო ცხენოსნობაში მონაწილეობას ვერ მივიღებთ". (ავტორის სტილი დაცულია. — რედ.). დიდი საბუთია! მაგრამ მაინც უნდა ვუპასუხოთ ჩოხატაურელებს: მთავარი მონდომებაა, თორემ ჭაბუკები... ჭაბუკებს დიახაც იზიდავთ ცხენოსნობა, მაგრამ მათი გატაცება რომ ნამდვილ სპორტად იქცეს, საცხენოსნო სპორტკლუბების თადარიგიანი მუშაობა და საქმის უნარიანად გაძღოლაა საჭირო. მაგალითად, ამ ბოლო ხანებში პაცხენოსნო სპორტმა დიდი პოპულარობა მოიხვეჭა გალში, სადაც მწვრთნელად ნ. ავჩენკოვი მუშაობს. ამის დასადასტურებლად თუნდაც ის მაგალითი კმარა, რომ აქაური ჭაბუკი მ. ლაბაშია უკვე სსრ კავშირის ორგზის პრიზიორია, ხოლო ზემოხსენებულ შეჯიბრებაში მისი უმცროსი ძმა, 13 წლის ნუგზარიც მონაწილეობდა.

ასპარეზობამ ცხადყო, რომ ჭაბუკ სპორტსმენთა დაოსტატების საქმე რიგზე ვერც იქ არის, სადაც საკმაოდ კარგი პირობებია ცხენოსნობის განვითარებისთვის და კლუბებიც აქვთ. მხედველობაში გვაქვს, პირველ ყოვლისა, მხედართა ტექნიკური მომზადება. ბევრი სპორტსმენი საუკეთესო ცხენით გამოდიოდა, მაგრამ სათანადო შედეგს მაინც ვერ მიაღწია. დავასახელოთ, მაგალითად, გულრიფშელი და თბილისელი მხედრები. თბილისელებს მხოლოდ შეჯიბრების წინა დღეებში მისცეს სავარჯიშოდ საიმედო ცხენები, მაგრამ ნაუცბათევმა მომზადებამ საქმეს ვერ უშველა. „ისცელიტელი" და „დისკანტი" კი ასპარეზობისთვის, საერთოდ, შეუფერებელი აღმოჩნდნენ. „დისკანტის" „საგმირო" საქმეებზე ჩვენ უკვე ვწერდით (ამას წინათ მან ხომ ხუთჭიდელები დატოვა ხელმოცარული), მაგრამ აქ ერთხელ კიდევ დაამტკიცა თავისი „ხასიათი" და მსაჯთა კოლეგიის თვალწინ, პირველსავე წინაღობაზე უდარდელად წამოწვა. დაბრკოლებას... მხოლოდ მხედარი გადაევლო.

თბილისის საცხენოსნო ბაზა ახლახან შეივსო კარგი ცხენებით, მაგრამ მან ვერც დოღში გამოიყვანა 2 ცხენი, იმ დროს, როცა რაიონებიდან 2-2 მხედარი იბრძოდა გამარჯვებისთვის.

არ შეიძლება არ აღინიშნოს მოასპარეზეთა სუსტი ტაქტიკური და ფიზიკური მომზადებაც. დაბრკოლებათა გადალახვისას მხედრებს აშკარად აკლდათ პაზრიანობა, ზუსტი ორიენტირებისა და გადაწყვეტილების სწრაფად მიღების უნარი. ისინი მოკლე მარშრუტებს ვერ ირჩევდნენ და ძვირფასი წამები ფუჭად იკარგებოდა. ზოგიერთი სპორტსმენი ზედმეტად ნერვიულობდა. გუდაუთელმა ვ. შაკრილმა, მაგალითად, რომ წააგო, სხვა ვერაფერი მოახერხა და ცხენს დაუწყო ცემა, რისთვისაც მსაჯთა კოლეგიის სასტიკი საყვედური დაიმსახურა. შაკრილმა „ამერიკულ პარკურში" პირველი ცხენით გაიმარჯვა, მაგრამ, როგორც ჩანს, ზედმეტი სიხარულისგან დაბნეული, მოულოდნელად ჩამოქვეითდა საასპარეზო ზონაში, რისთვისაც შედეგი მოეხსნა. თბილისელი ტ. ალიევი კი სტარტის მიღების წესის დარღვევისთვის მოიხსნა ასპარეზობიდან. გულრიფშელ ბ. ვეკუას, რომელიც სამგზის ოქროს მედალოსან „პოსეიდონით" გამოდიოდა, II ადგილი განაღდებული ჰქონდა, მაგრამ... „გულმოდგინება" გამოიჩინა და 2 ზედმეტი დაბრკოლება დაძლია.

მიუხედავად ყოველივე ამისა, პირველობა მაინც საინტერესოდ ჩატარდა. ასპარეზობის პროგრამა ჭაბუკთა საკავშირო პირველობის მოთხოვნებს შეესაბამებოდა. ბევრმა სპორტსმენმა აიმაღლა მომზადების დონე. ზუგდიდელი მხედრები თანაბრად ძლიერნი იყვნენ ყველა სახეობაში, თუ ჯირითს არ მივიღებთ მხედველობაში. ეს სახეობა წლეულს პირველად შეიტანეს შეჯიბრების პროგრამაში.

თავი გამოიჩინეს ზუგდიდელებმა ა. კრაინენკომ, მ. ლაბაშიამ, ნ. ზარანდიამ, გალელმა ე. ლემონჯავამ, თბილისელმა ო. გოგიჩაიშვილმა და სხვ. ესენი რესპუბლიკის ნაკრების წევრობის კანდიდატები არიან.

სახეობების მიხედვით, გუნდური და პირადი ადგილები ასე განაწილდა: ორჭიდი — 1. ზუგდიდი — 69 ქულა, 2. გალი — 54, 3. გუდაუთა — 27; პირადი — 1. ა. კრაინენკო, 2. ზ. წურწუმია, 3. მ. ლაბაშია; დაბრკოლებათა გადალახვა „გახსნის პრიზზე" — 1. ზუგდიდი — 38 ქულა, 2. გუდაუთა — 29, 3. გალი — 22; პირადი — 1. წურწუმია, 2. ლაბაშია, 3. გრიგოლაია; „რთული კლასი" — 1. ზუგდიდი — 57, 2. გალი — 36, 3. გუდაუთა — 30; პირადი — 1. ლაბაშია, 2. წურწუმია, 3. ვ. შაკრილი; „ამორჩევით" დაბრკოლებათა გადალახვა — 1. ზუგდიდი — 38, 2. გალი — 22, 3. თბილისი — 20; პირადი — 1. ნ. ზარანდია, 2. ე. ლემონჯავა, 3. რ. მესტვირიშვილი; „ამერიკული პარკური" — 1-2. ზუგდიდი, სოხუმი — 38-38, 3-4. გულრიფში, თბილისი — 22-22; პირადი — 1. შაკრილი, 2. ა. შეროზია, 3. ხ. ანდრაბუა; „სამონადირეო პარკური" — 1. ზუგდიდი — 42, 2. გულრიფში — 34, 3-4. გალი, თბილისი — 22-22; პირადი — 1. ზარანდია, 2. მესტვირიშვილი, 3. შაკრილი; ჯირითი — 1. გუდაუთა — 37, 2. ზუგდიდი — 35, 3. გალი — 34; პირადი — 1. შეროზია, 2. კრაინენკო, 3. მესტვირიშვილი; სადა დოღი 2.000 მეტრზე — 1. ზუგდიდი — 42, 2. გუდაუთა — 38, 3. გალი — 26; პირადი — 1. კრაინენკო, 2. შეროზია, 3. მესტვირიშვილი.

საბოლოო გუნდური შედეგები: 1. ზუგდიდი — 359 ქულა, 2. გალი — 216, 3. გუდაუთა — 211.

**რ. კორძაია,**
საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი.
**თ. ბაჩეჩილაძე.**

## „ოქროს" უხვი მოსავალი

სან-ხუანი, 21 ივნისი. პუერტო-რიკოს დედაქალაქში გრძელდება ცენტრალური ამერიკისა და კარიბის თამაშები. შეჯიბრებებში დიდი წარმატებით გამოდიან თავისუფლების კუნძულის სპორტსმენები, რომლებიც „ოქროს" უხვ მოსავალს იმკიან.

100 მეტრზე ქალთა რბენაში ოქროს მედლის მფლობელი გახდა მიგელინა კობიანი — 11,7 წამი. ნახევარფინალში ამ განთქმულმა სპორტსმენმა უკეთესი დრო აჩვენა — 11,6. ეს შედეგი თამაშების ახალი რეკორდია. კობიანის თანამემამულემ — ჰილდა რამირესმა ყველას აჯობა შუბის ტყორცნაში — 39,34 მ.

მძლეოსნობაში მასპინძლებმაც — პუერტო-რიკოს წარმომადგენლებმაც გამოიჩინეს თავი. მაგალითად, ხუან ფრანჩესკიმ საკმაოდ კარგი შედეგით გაიმარჯვა 400 მეტრზე რბენაში — 46,7 წამი.

საშუალო წონის ძალოსანთა ასპარეზობაში თამაშების ჩემპიონი გახდა კუბელი კ. სამოდევილია, რომლის შედეგი სამჭიდში 412,5 კილოგრამს უდრის.

რაპირისტთა გუნდური შეჯიბრება ასევე კუბელებმა მოიგეს.

ძიუდოისტთა ტურნირში, რომელიც ძალზე პოპულარულია ლათინური ამერიკის ქვეყნებში, თავი გამოიჩინეს თავისუფლების კუნძულის ათლეტებმა ლ. გასტონმა (63 კგ-მდე წონა) და რ. სანჩესმა (93 კგ-მდე).

სამაგიეროდ, აუზში ბადალი არ ჰყავდათ მექსიკელებს. მომავალი ოლიმპიადის ქვეყნის წარმომადგენლებმა — მოცურავეებმა და წყალში მხტომელებმა ოქროს 14 მედალი მოიპოვეს. განსაკუთრებით ისახელა თავი გილერმო ეჩევარიამ, რომელმაც სხვადასხვა მანძილზე თავისუფალი სტილით და კომბინირებულ ცურვაში 5 გამარჯვება მოიპოვა და ხუთივეჯერ დაამყარა თამაშების ახალი რეკორდი.

ქალებში შესანიშნავად გამოვიდა პუერტორიკოელი ენ ლალანდი. ბატერფლაით 100 და 200 მეტრზე და თავისუფალი სტილით 200 მეტრზე ცურვაში მან ოქროს მედლები მოიხვეჭა თამაშების ახალი რეკორდებით.

წყალბურთში ყველას აჯობეს კუბელებმა, რომლებმაც გადამწყვეტ მატჩში დაამარცხეს ტრინიდადისა და ტაბაგოს ძლიერი გუნდი — 5:1.

თამაშები გრძელდება.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

## მსოფლიო ჩემპიონატამდე






ბრაზილიის ნაკრების მარჯვენა მცველი ჯ. სანტოსი.
მეგობრული შარჟი
გ. ფირცხალავასი.

# ჩვენი უცნობი მეტოქე

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდი, ისევე, როგორც პორტუგალიისა, პირველად გავიდა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში. კორეელმა ფეხბურთელებმა მოიპოვეს ის ერთადერთი ადგილი, რომელიც დათმობილი ჰქონდა აზიასა და ავსტრალიას. ეს გუნდი მომავალი ფინალის № 1 გამოცანაა. საერთაშორისო სპორტული პრესა განსაკუთრებით უსვამს ხაზს იმ შრომისმოყვარეობას, ენერგიასა და კოლექტიურ სულისკვეთებას, რომელთა წყალობითაც კორეელებმა უფლება მოიპოვეს ეთამაშათ ინგლისის სტადიონებზე. გუნდის საშუალო ასაკია სულ 23,5 წელი.

ერთ-ერთი საწვრთნელი ვარჯიშის შემდეგ ქ. კესონში კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა მენ რე ხენმა განაცხადა: „ჩვენ არა გვაქვს სერიოზულ საერთაშორისო შეხვედრებში მონაწილეობის გამოცდილება და ამან უფლება მისცა უცხოელ სპეციალისტებს აუტსაიდერთა რიგებში ჩავერიცხეთ. ისინი არ არიან დაზღვეული შეცდომისგან. ჩემი აზრით, ჩემპიონატის დაწყებამდე გადაჭრით რაიმეს თქმა შეუძლებელია. ჩვენი გუნდი მიმართავს საყოველთაოდ მიღებულ სისტემას 4—2—4, მაგრამ მასში ზოგიერთი კორექტივი შევიტანეთ. მაგალითად, იერიშებს გარემარბები დაიწყებენ მინდვრის სიღრმიდან და ამ დროს ცენტრალური თავდამსხმელები და ნახევარმცველები კონტროლის ქვეშ აიღებენ მინდვრის შუაგულს. ამ მანევრის ბოლო სტადიაში ყველაფერი უნდა გადაწყვიტოს სისწრაფემ".

გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გამგზავრების წინ საკდესის კორესპონდენტი ესაუბრა მენ რე ხენს.

**შეკითხვა:** რაზე გქონდათ გამახვილებული ყურადღება ჩემპიონატისთვის მზადების ბოლო პერიოდში?

**პასუხი:** ტემპიან თამაშსა და ფეხბურთელთა ინდივიდუალურ ტექნიკაზე.

**შეკითხვა:** თქვენი გუნდის რომელი ფეხბურთელებია ყველაზე უფრო ძლიერი და კარგად მომზადებული?

**პასუხი:** ფეხბურთი კოლექტიური თამაშია. ყველა თანაბრადაა მომზადებული და არ მინდა გამოვყო რომელიმე მათგანი.

**შეკითხვა:** თქვენი აზრით, რომელ გუნდს შეუძლია პირველი ადგილის დაკავება IV ჯგუფში?

**პასუხი:** ძნელი სათქმელია.

**შეკითხვა:** საბჭოთა გუნდის თავდამსხმელთაგან რომელი მიგაჩნიათ ყველაზე სახიფათოდ?

**პასუხი:** ყველა.

**შეკითხვა:** გინახავთ თუ არა სსრ კავშირის ნაკრების თამაში?

**პასუხი:** მხოლოდ 10 წლის წინ მოსკოვში, როცა თამაშობდნენ სსრ კავშირი და გფრ.

როგორც კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის პრესა იუწყება, ამ ქვეყნის ნაკრები კინოფილმების საშუალებით დეტალურად სწავლობდა მომავალ მეტოქეთა თავისებურებებს. კორეელი ფეხბურთელები და მათი მწვრთნელი აპირებენ ერთ-ერთ მთავარ იარაღად გამოიყენონ სწორედ ის, რომ მათ საერთაშორისო საფეხბურთო სამყაროში ნაკლებად იცნობენ და აპირებენ სიურპრიზები მოუმზადონ მოწინააღმდეგეებს. ამ „კორეული გამოცანის" ამოხსნა პირველად მოუხდებათ სწორედ საბჭოთა ფეხბურთელებს, რომლებიც 12 ივლისს ეთამაშებიან ამ გუნდს. ჩვენი თავდამსხმელების ბრძოლა კორეელთა დაცვასთან ძალიან ძნელი იქნება. მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ კორეელებს ჰყავთ სახიფათო და აგრესიული ნახევარმცველები, რომლებსაც ხშირად გააქვთ გოლები. გუნდი თამაშობს გაშლილი ფრონტით და მოპირდაპირე დაცვაში ქმნის დერეფნებს, სადაც სწრაფად გადიან დაცვითი ხაზის მოთამაშენი.

კორეელი ფეხბურთელები ლონდონში მიემგზავრებიან გამარჯვების მტკიცე რწმენით. გუნდის შემადგენლობაში არიან: მეკარეები — ლი კონ ხაკი (27 წლის, მონაწილეობა აქვს მიღებული 63 საერთაშორისო შეხვედრაში), ლი ჩან მიონი (20 და 15), ან სე ბოკი (21 და 11); დაცვა — გუნდის კაპიტანი სი იონ გიუ (25 და 97), ო იუნ გიონი (26 და 102), იმ ჯუნ სონი (24 და 60), კან ბონ ჩილი (24 და 26), პაკ რი სოპი (23 და 7), ხა ჯონ ვონი (25 და 29), კე სონ ვონი (24 და 13), ხან ჩან სინი (23 და 9), ლი ჩი (22 და 9); ნახევარდაცვა — პაკ სონ ჯინი (22 და 34), იმ სონ ხვი (21 და 18), კიმ იონ გილი (23 და 15); თავდასხმა — ხან ბონ ჯინი (27 და 92), პაკ დუ იკი (24 და 65), კიმ სონ ილი (22 და 45), კან რიონ ვონი (25 და 25), კიმ ბონ ხვანი (28 და 66), იან სონ გუკი (20 და 9), ლი დონ ვონი (22 და 10).

* * *



სურათზე: გუნდის კაპიტანი სი იონ გიუ.

## თბილისის სპორტული აფიშა

**კალათბურთი.** სპორტის სასახლე. 23 ივნისი. ქალთა გუნდების საერთაშორისო შეხვედრა. საქართველო (ნაკრები) — „სლავია" (პრაღა). დასაწყისი 20 ს.

**ფეხბურთი.** „დინამოს" სტადიონი. 23 ივნისი. სსრ კავშირის პირველობა. „ა" კლასი (II ჯგუფი). „ლოკომოტივი" (თბილისი) — „დინამო" (სტავროპოლი). დასაწყისი 19 ს.

**სასტენდო სროლა.** „მონკავშირის" სასროლეთი (ვაკე). 25-26 ივნისი. სამატჩო შეხვედრა საქართველო — აზერბაიჯანი. დასაწყისი 10 ს.

**ტყვიის სროლა.** ავჭალის სასროლეთი. 25-28 ივნისი. მოზარდთა რესპუბლიკური შეჯიბრება. დასაწყისი 10 ს.

**დღეს**
**თბილისის „დინამოს" სტადიონზე**

გაიმართება ფინალური მატჩი საქალაქო პირველობაზე „ტყავის ბურთის" პრიზზე ქუჩების გუნდებს შორის. ერთმანეთს ხვდებიან „დელისი" (ორჯონიკიძის რაიონი) — „ფოლადი" (ლენინის რაიონი). დასაწყისი 17 ს. 30 წ. (თბილისის „ლოკომოტივისა" და სტავროპოლის „დინამოს" მატჩის წინ).

# მეკარის სიფხიზლე • პარიზში... ლონდონის ჩემპიონატზე

მექსიკის ეროვნული ნაკრების მეკარე ანტონიო კარბახალს ოთხჯერ აქვს მიღებული მონაწილეობა მსოფლიო ჩემპიონატებში და ამ ხნის განმავლობაში მას გამოუმუშავდა სიფხიზლის განსაკუთრებული გრძნობა. მეკარემ ამას წინათ ნათლად დაამტკიცა ეს, თუმცა იხსნა არა თავისი გუნდის კარი, არამედ... საკუთარი ქონება. ქალაქ სანტ-იაგოს სასტუმროში, სადაც დაბინავებული იყო ტურნირზე ჩამოსული მექსიკის გუნდი, მან დაიჭირა ქურდი და პოლიციას ჩააბარა იგი.

ჟურნალისტის პრესაში ქვეყნდება ცნობები, რომ ზოგიერთ მდიდარ ტურისტს განზრახული აქვს მსოფლიო ჩემპიონატის საყურებლად ჩავიდეს... პარიზში. ისინი იცხოვრებენ საფრანგეთის დედაქალაქის კომფორტულ სასტუმროებში და ბრიტანეთის კუნძულზე გადაფრინდებიან იმ მატჩების საყურებლად, რომლებიც მათ აინტერესებთ.

ИНДЕКС 66418 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. 11 უე 01625